

გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების კლასიფიკაცია ციფრული
დოკუმენტირებისთვის

(30 ასომთავრული წარწერის კოდირება)

ხათუნა ომანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ნინო დობორჯგინიძე, პროფესორი

სამეცნიერო ხელმძღვანელის ასისტენტი - თამარ კალხიტაშვილი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადოწესების შესაბამისად.

ხათუნა ომანაშვილი

26.06.2019

აბსტრაქტი

დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსში არსებული ეპიგრაფიკული მასალა მრავალმხრივ საინტერესოა. გარეჯში არსებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს გასული საუკუნის განმავლობაში არაერთი მეცნიერი შეისწავლიდა. მკვლევართა მიერ აღწერილი მასალა ბეჭდური გამოცემების სახით არის შემონახული. თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში სტანდარტიზებულ ნორმებზე დაყრდნობით ხდება მონაცემთა გაციფრულება და იქმნება კორპუსული ბაზები, რაც ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელს ხდის მონაცემთა მოძიებას დისტანციურად.

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა დარეჯან კლდიაშვილისა და ზაზა სხირტლადის წიგნს „გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები“ და მიზნად ისახავს, ამოსავალი ბეჭდური გამოცემის (“principle edition”) მიხედვით ეპიგრაფიკული მასალის კლასიფიკაციას ციფრული დოკუმენტირებისთვის, ასევე მათ მიერ შესწავლილი ასომთავრული წარწერების გაციფრულებას XML ფორმატში — EpiDoc-ში არსებული სამეცნიერო რეკომენდაციების გათვალისწინებით; TEI-ში განთავსებული ტაგებისა და EpiDoc-ის გაიდლაინების მიხედვით XML ფაილების კოდირებას.

დავით გარეჯში არსებული ეპიგრაფიკული ძეგლების კლასიფიკაციის შესაქმნელად ბეჭდურ გამოცემაზე დაყრდნობით აიგო წარწერათა ქრონოლოგიური ცხრილი. ციფრული დოკუმენტირებისთვის საჭირო ძირითადი მახასიათებლების მიხედვით გამოიყო წარწერების რამდენიმე ჯგუფი. ეპიგრაფიკული ძეგლების ციფრული ვარიანტის შესაქმნელად XML ფაილში ინდივიდუალურად აღიწერა ასომთავრული ანბანით შესრულებული 30 წარწერა.

კვლევის შედეგად შეიქმნა დავით გარეჯში არსებული ეპიგრაფიკული ძეგლების კლასიფიკაცია ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, საერთაშორისო სტანდარტზე

დაყრდნობით აღიწერა გარეჯის 30 ასომთავრული წარწერა. ეპიგრაფიკული ძეგლების ციფრული მოდელის შექმნის დროს ნათლად წარმოჩინდა ქართულ სამეცნიერო სივრცეში ციფრული ჰუმანიტარიის მნიშვნელობა ისტორიული, არქეოლოგიური, ბეჭდური თუ კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის.

საკვანძო სიტყვები: ეპიგრაფიკული მასალა, XML ფორმატი, EpiDoc-ის გაიდლაინები, TEI, ციფრული ჰუმანიტარია.

Abstract

The epigraphic material of the Gareji Monastery is interesting in many ways. During the last century, scientists studied Gareji epigraphic monuments. The material described by the researchers is preserved in dozens of print editions. In the modern scientific reality, creation of massive databases, that allows to retrieve data remotely are based on standardized norms. The work is mainly based on Darejan Kldiashvili and Zaza Skhirtladze's book "Georgian Epigraphic Monuments" and it aims to classify epigraphic materials for digital documentation according to the named principle edition, as well as to digitally encode Asomtavruli inscriptions (studied by them) in the XML format - taking into consideration EpiDoc guidelines. The work aims to encode XML files according to the tags and EpiDoc guidelines placed in TEI. In order to create the classification of epigraphic monuments in Davit Gareji we have created chronological chart of epigraphic captions based on the principle edition. Considering the basic characteristics required for digital documenting we have created several groups of epigraphic inscriptions. For being created a digital version of epigraphic monuments in the XML file individually described 30 captions performed by the Asomtavruli alphabet. As a result of the research, we have created the classification of epigraphic monuments in David Gareji according to the basic characteristics, based on the international standard have been described 30 inscription of the Gareji, which are written with the Asomtavruli alphabet.

Prototyping the Epigraphic Corpus of Davit Gareji epigraphic monuments revealed its potential in popularization historical, archeological or even printed heritage.

Keywords: Epigraphic material, XML format, EpiDoc guidelines, TEI, Digital Humanities.